საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალვინიზმი

კალვინიზმი (Calvinisme), პროტესტანტული რელიგიური მოძღვრება, რომლის ფუძემდებელია ფრანგი თეოლოგი ჟან კოვენი (კალვინი). ჩამოყალიბდა 1530 ქ. ჟენევაში. მიმართული იყო როგორც კათოლიციზმის, ასევე სხვა რეფორმაციების წინააღმდეგ. კ. რწმენის ერთადერთ წყაროდ მიიჩნევს ბიბლიას, აღიარებს მოძღვრებას მხოლოდ რწმენით გამართლების შესახებ, საეკლ. წეს-ჩვეულებებს განიხილავს როგორც დამხმარე საშუალებას ღმერთთან სულიერი კავშირის დასამყარებლად. უარყოფს წმინდანთა გამოსახულებებს (ხატებს), სანთელს, ღვთისმშობლის კულტს. მათ ეკლესიაში გააუქმეს საკურთხეველი, ორღანი. ღვთისმსახურება ამოიწურება ბიბლიის კითხვით, ფსალმუნთა გალობითა და ქადაგებით. შემცირდა საეკლ. დღესასწაულთა რაოდენობა. შვიდ საიდუმლოთაგან მხოლოდ ნათლობასა და ზიარებას აღიარებენ. კ-ის უმთავრესი დოქტრინა ღმერთის უზენაესი ძალაუფლებაა, რის საფუძველზეც სახელმწ. ვალდებულია ეკლესიის დადგენილებებს დაემორჩილოს. კალვინისტური ეკლესიის სტრუქტურა გულისხმობს ავტონომიურ კონგრეგაციებს, რ-ებიც შესაბამისი საბჭოების მიერ იმართება. საბჭოს წევრები არიან მრევლის მიერ არჩეული პასტორი, დიაკვანი და ერთი უხუცესი.

კ. მთელ ევროპაში გავრცელდა. საფრანგეთში ისინი თავს ჰუგენოტებს, ინგლისში – პურიტანებს, შოტლანდიაში კი პრესვიტერიანებს უწოდებდნენ. გავრცელებულია კანადაში, ავსტრალიაში, აშშ-ში, სამხრ. კორეაში და სხვ.

საქართველოში კალვინისტური ეკლესია დაარსდა ქ. ბათუმში 1995 და წარმოდგენილია წმ. სამების პროტესტანტული ეკლესიის სახით. მას ურთიერთობა აქვს ამერიკისა და გერმანიის რეფორმატორულ ეკლესიებთან. აღიარებს თეოკრატიას ეკლესიაში. საეკლ. წოდებებია: პასტორი, პრესვიტერი და დიაკონი. მათი ძირითადი დღესასწაულებია: შობა,

ვნების პარასკევი, აღდგომა, ამაღლება, სულთმოფენობა და რეფორმაციის დღე – 31 ოქტომბერი. „წმიდა სამების" ეკლესიას დაქვემდებარებული თემები ბათუმის გარდა არსებობს ქობულეთში, ოზურგეთში, ფოთსა და ლანჩხუთში. კალვინისტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ეკუმენურ შეხვედრებზე. მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ბათუმის კათოლიკურ ეკლესიასთან და ებრაული თემის წარმომადგენლებთან, ახორციელებენ ჰუმანიტარულ აქციებს.

ლიტ.: რელიგიები საქართველოში, თბ., 2008; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980; ძირითადი რელიგიური მიმართულებანი, თბ., 1963.

თ. მარგველაშვილი